EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი №42174/11
ლევან ასათიანი და სხვები
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2017 წლის 4 აპრილის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე - კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი,
მოსამართლეები - ნონა წოწორია, მარკო ბოშნიაკი,
და სექციის განმწესრიგებელი მოადგილე - ანდრეა ტამიეტი,

მიიღო მხედველობაში 2011 წლის 3 ივლისს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

განხილვის შედეგად გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანთა სია მოცემულია დანართში. ყველა მათგანი საქართველოს მოქალაქეა და მათ სასამართლოში წარმოადგენდნენ ქ-ნი თ. აბაზაძე, ქ-ნი ნ. კაციტაძე, ბ-ნი ფ. ლიჩი და ქ-ნი ჯ. ევანსი, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობენ თბილისსა და ლონდონში.

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ქ-ნი შ. მეზურნიშვილი.

3. საჩივარი ეხებოდა პოლიციის მიერ 2011 წლის 3 იანვრის ქუჩის მჯდომარე საპროტესტო აქციის დარბევას. მომჩივნებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ აქციაში, განაცხადეს, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან უფლებამოსილებების გადამეტებას, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლები. ამ საჩივრების შესახებ მთავრობას ეცნობა 2015 წლის 28 სექტემბერს.

4 2016 წლის 3 მაისსა და 3 ივნისს სასამართლომ მიიღო ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დეკლარაციები, რომლის მიხედვით მომჩივნები დათანხმდნენ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვას მთავრობის მიერ გამოთქმული აღიარებების და აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით.

5. კერძოდ, მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა №№ 4, 5 და 7 (ბ-ნი თოფურია, ბ-ნი რევიშვილი და ბ-ნი იამანიძე) მომჩივნებთან მიმართებაში პოლიციის მხრიდან მათ წინააღმდეგ უფლებამოსილების გადამეტების საფუძველზე, 2011 წლის 3 იანვრის ინციდენტის დროს და აიღო ინციდენტის ეფექტიანი სისხლის სამართლის გამოძიების ჩატარების ვალდებულება. ამასთანავე, მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა ათივე მომჩივნის მიმართ.

6. ასევე, მთავრობამ იკისრა შემდეგი თანხების გადახდის ვალდებულება:

- 2,500 ევრო (ორიათას ხუთასი ევრო) თითოეული მომჩივნის სასარგებლოდ №№ 4, 5 და 7 (ბ-ნი თოფურია, ბ-ნი რევიშვილი და ბ-ნი იამანიძე);

- 2,000 ევრო (ორი ათასი ევრო) თითოეული მომჩივნის სასარგებლოდ №№ 1-3, 6 და 8-10 (ბ-ნი ასათიანი, ბ-ნი ასატრიანი, ბ-ნი ჩიღოშვილი, ბ-ნი ზღუდაძე, ბატონი ძებისაშვილი, ბ-ნი ელისაშვილი და ბ-ნი ჩხაიძე).

7. მთავრობამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული თანხები აანაზღაურებს ნებისმიერ მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს, ასევე ხარჯებსა და დანახარჯებს და გადაყვანილი იქნება მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში გადახდის თარიღისთვის არსებული კურსის შესაბამისად და გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისგან, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივნებს. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შეტყობინების თარიღიდან სამი თვის

ვადაში. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ სამთვიან ვადაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას გადასახდელ თანხას დაუმატოს მარტივი პროცენტი, სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან ფაქტობრივი გადახდის დღემდე. ამ შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტი, რასაც დაემატება სამი პროცენტი. გადახდა წარმოადგენს საქმის საბოლოო გადაწყვეტას.

სამართალი

8. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საკითხი გადაწყდა კონვენციის 37-ე მუხლის § 1(ბ)-ს მიხედვით და რომ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს საჩივრის შემდგომ განხილვას 37-ე მუხლის § 1-ის დებულებების შეჯამების შესაბამისად.

9. გამომდინარე აქედან, საქმე ამორიცხული უნდა იქნას განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ამ მიზნით, სასამართლო ერთხმად,

იღებს გადაწყვეტილებას, ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობითი ფორმით 2017 წლის 4 მაისს.

ანდრეა ტამიეტი	კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე	თავმჯდომარე

დანართი

№.	სახელი გვარი	დაბადების თარიღი	საცხოვრებელი ადგილი
1.	ბ-ნი ლევან ასათიანი („მომჩივანი“№ 1“)	26/12/1957	თბილისი
2.	ბ-ნი ლევონ ასატრიანი („მომჩივანი № 2“)	18/12/1958	თბილისი
3.	ბ-ნი ილია ჩიღოშვილი („მომჩივანი № 3“)	18/11/1973	სოფელი ნავაზი
4.	ბ-ნი მალხაზ თოფურია („მომჩივანი № 4“)	11/01/1968	თბილისი
5.	ბ-ნი ამურ რევიშვილი („მომჩივანი № 5“)	29/09/1969	თბილისი
6.	ბ-ნი შოთა ზღუდაძე („მომჩივანი № 6“)	05/02/1971	სოფელი ნაბაკევი
7.	ბ-ნი შოთა იამანიძე („მომჩივანი № 7“)	28/04/1986	თბილისი
8.	ბ-ნი ვალერიან ძებისაშვილი („მომჩივანი № 8“)	11/10/1966	თბილისი
9.	ბ-ნი თეიმურაზ ელისაშვილი („მომჩივანი №9“)	13/12/1957	თბილისი
10.	ბ-ნი ელგუჯა ჩხაიძე („მომჩივანი № 10“)	25/12/1956	თბილისი